საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №27
2022 წლის 23 ივნისი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლისა და მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, აგრეთვე, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 დეკემბრის №60 დადგენილების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, 30.12.2021, სარეგისტრაციო კოდი: 300380000.16.009.016497) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის წესების" მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 18 დეკემბრის შემდეგ ექსპლუატაციაში შესულ დანადგარებზე ან გაზრდილ სიმძლავრეზე.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**